

თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული
ჰაერის ხარისხის მართვის 2024-2026
წლების გეგმის
2025 წლის მონიტორინგის ანგარიში



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სარჩევი

| | |
|--|----|
| მოკლე შეჯამება..... | 3 |
| შესავალი | 6 |
| ზოგადი პროგრესი..... | 7 |
| დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით | 15 |
| დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით | 18 |
| დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით | 22 |
| დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით | 24 |
| გამოწვევები და რეკომენდაციები..... | 26 |
| კონსოლიდირებული სტატუსანგარიში..... | 28 |

მოკლე შეჯამება


საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის N1361 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2024 - 2026 წლების გეგმა თბილისის აგლომერაციისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომლის მიზანია თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებული იქნა თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

მონიტორინგის შედეგად მიღებული 2025 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, საბაზისო დონესთან შედარებით მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია უცვლელია, მდგომარეობა გაუმჯობესდა აზოტის დიოქსიდით დაბინძურების კუთხით და 29 დაკვირვების პუნქტიდან მისი კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას აღემატება 12 პუნქტზე, ნაცვლად საბაზისო 14 პუნქტისა. აგრეთვე, დაფიქსირდა ოზონის კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბება მონიტორინგის 1 პუნქტზე, ხოლო სხვა მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აღემატებოდა ნორმას.

გეგმის 1.1 და 1.2 ამოცანების შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის, თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკებისა და აზოტის ოქსიდების (NOx) მასის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2026 წლის ბოლომდე. 1.3 და 1.4 ამოცანების კუთხით კი, საბაზისო დონესთან შედარებით თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემა უცვლელია, ასევე არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი პროგრესი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხრივ.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 20% (8 აქტივობა), მეტწილად შესრულდა აქტივობების 17% (7 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ - 34% (14 აქტივობა). არ დაწყებულა 10 აქტივობის განხორციელება, ხოლო 2 აქტივობა შეჩერებულია შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 41%. ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით პროგრესი შეინიშნება 1.1 და 1.2 ამოცანებში, რომელთა აქტივობები 53% და 46%-ითაა შესრულებული.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ქ. თბილისში განხორციელდა 174 სამრეწველო ობიექტის ინსპექტირება, გამოვლინდა ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 284 ფაქტი. 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა თბილისის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის განთავსებისა ან/და რეალიზაციის წესი და გაიზარდა სანქციები შესაბამისი კანონდარღვევისთვის. დაირგო 452 ათასამდე ძირი მწვანე ნარგავი, მოეწყო 43.7 ათასი მ² ტროტუარი. ასევე, რეგულარულად ხდებოდა ქ. თბილისის სველი წესით დასუფთავება. ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

რუსთავი-თბილისის მარშრუტს დაემატა 3 მარშრუტი 45 ახალი ავტობუსით. ავტობუსების სავალი ზოლები მოეწყო დედაქალაქის დამატებით 8 ქუჩაზე, ხოლო 41 ქუჩაზე დაინერგა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა. დამონტაჟდა დამატებით ელექტრომობილების 33 დამტენი. შემუშავდა ქუჩის დიზაინის სტანდარტების პრაქტიკული გზამკვლევი და ქ. თბილისში მეხუთედ აღინიშნა ევროპის მობილობის კვირეული.

კანონმდებლობით განისაზღვრა და ამოქმედდა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები მაქსიმალური ნორმა. ავტოპარკის გაახალგაზრდავებისა და გაჯანსაღების მიზნით შემუშავდა სამართლებრივი ცვლილება,

რომელიც ითვალისწინებს 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას საქართველოში. კატალიზური კონვერტორის ნარჩენების ექსპორტის აკრძალვის ვადის გახანგრძლივებისთვის საკანონმდებლო საფუძვლის მოსამზადებლად შემუშავდა ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების პროექტი.

შეფასდა ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსები და პერსონალის საჭიროებები.

აზოტის დიოქსიდის (NO_2) გაფრქვევების შესამცირებლად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების ზრდის ძალიან მაღალი ტემპი, რის საპასუხოდ აუცილებელია სუფთა ავტომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება. სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება. ჰაერის ხარისხის შეფასებისა სისტემის გაუმჯობესებისა და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად საჭიროა 2026 წელს ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება. ასევე, საჭიროა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან უფრო მეტი ჩართულობა.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის N1361 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2024 - 2026 წლების გეგმა თბილისის აგლომერაციისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას და ძირითადი დამბინძურებლების დონეების ნორმის ფარგლებში შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ზონებისა და აგლომერაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს №2-1293 ბრძანების მიხედვით, ქ. თბილისის აგლომერაცია მოიცავს თვითმმართველ ქალაქს - თბილისის მუნიციპალიტეტს. გეგმის მიზნების შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას. ესენია:

- ამოცანა 1.1 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - თბილისის აგლომერაციაში აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირება
- ამოცანა 1.3 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება
- ამოცანა 1.4 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.


მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.


ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი აზოტის დიოქსიდისა და უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM₁₀, PM_{2.5}) კონცენტრაციის შემცირებას. მონიტორინგის შედეგად მიღებული 2025 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, საბაზისო დონესთან შედარებით მყარი ნაწილაკების დაბინძურების მხრივ მდგომარეობა უცვლელია, ამასთან მდგომარეობა გაუმჯობესდა აზოტის დიოქსიდით დაბინძურების კუთხით და საბაზისო დონესთან შედარებით მისი საშუალო წლიური კონცენტრაცია 2-ით ნაკლებ დაკვირვების პუნქტზე აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

PM₁₀-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია ქ. თბილისში




PM_{2.5}-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია ქ. თბილისში



უმცირესი მყარი ნაწილაკების (PM₁₀ და PM_{2.5}) საშუალო წლიური კონცენტრაციები 2023-2025 წლებში თითქმის უცვლელია თბილისის აგლომერაციაში განთავსებულ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურებზე, გარდა აკ. წერეთლის გამზირზე მდებარე სადგურისა, სადაც 2023 წელთან შედარებით PM₁₀-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ მნიშვნელოვნად იკლო ადგილზე საგზაო რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შედეგად. მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაციების ნორმაზე გადაჭარბება კვლავაც ფიქსირდება მხოლოდ დავით აღმაშენებლის გამზ. N73ა-ში მდებარე (ილიას ბაღი) სადგურზე, რაც სავარაუდოდ განპირობებულია მონიტორინგის სადგურის დამონტაჟების შემდგომ (2019 წელი) ადგილზე განვითარებული კომერციული საქმიანობების გავლენით, რაც შეიძლება ახდენდეს მოჭარბებულ ზემოქმედებას გაზომვის შედეგებზე. აღნიშნული ზემოქმედება ზღუდავს შესაძლებლობას, რომ ილიას ბაღის სადგური ქალაქის ფონურ სადგურად მივიჩნიოთ. სწორედ ამიტომ დაგეგმილია სადგური რელოკაცია ქ. თბილისის სხვა ტერიტორიაზე.

PM₁₀-ის საშუალო დღიური კონცენტრაციის გადაჭარბებათა რაოდენობა ქ. თბილისში




2025 წელს ზღვრულად დასაშვებ ნორმას (35 დღე) აღემატება PM₁₀-ის დღიური კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევები 4 სადგურზე:

- აკაკი წერეთლის გამზირზე 2025 წელს 68 დღის განმავლობაში დაფიქსირდა 50 მკგ/მ³-ზე მაღალი კონცენტრაცია, რაც 2023 წელთან შედარებით (236 გადაჭარბება) მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა. ამასთან, 68-დან 54 გადაჭარბების შემთხვევა განპირობებული იყო სინოპტიკური პროცესებით (საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტერის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით);
- ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე დაფიქსირდა ნორმაზე გადაჭარბების 37 შემთხვევა, რაც საბაზისო მდგომარეობასთან შედარებით (31 გადაჭარბება) გაუარესებაა. ამასთან, 37-დან 35 განპირობებული იყო ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით;
- მარშალ გელოვანის გამზირზე დაფიქსირდა ნორმაზე გადაჭარბების 63 შემთხვევა, რომელთაგან 57 განპირობებული იყო ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით;
- ილიას ბაღის სადგურზე კი დაფიქსირდა ნორმაზე გადაჭარბების 113 შემთხვევა, რომელთაგან 99 განპირობებული იყო ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით;

თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული გაზომვების მიღებულმა NO₂-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2025 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ³) 29 პუნქტიდან მონიტორინგის 12 პუნქტზე, რაც 2 პუნქტით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით. ამასთან, 2025 წელს აღინიშნა აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის კლება 24 დაკვირვების პუნქტზე, 3 პუნქტზე მდგომარეობა უცვლელია, ხოლო 2 პუნქტზე დაფიქსირდა მცირედი ზრდა.

ზემოაღნიშნული ნორმებთან შეუსაბამო 12 პუნქტიდან 11 განთავსებულია საავტომობილო გზის მიმდებარედ, ხოლო 1 პუნქტი (9 აპრილის სახელობის ბაღი) განთავსებულია სატრანსპორტო კვანძთან არსებულ რეკრეაციულ ზონაში. ეს გარემოება ხაზს უსვამს, რომ აზოტის ოქსიდებით დაბინძურების უმთავრესი წყარო ავტოტრანსპორტია, განსაკუთრებით კი ურბანულ გარემოში. 2025 წელს ყველაზე მაღალი კონცენტრაციები 2023 წლის მსგავსად დაფიქსირდა კვლავაც რუსთაველის გამზირზე (68 მკგ/მ³), ჯავახეთის ქუჩასა (74 მკგ/მ³) და ქ. წამებულის გამზირზე (61 მკგ/მ³), ხოლო ყველაზე დაბალი კონცენტრაცია ლისის ტბასთან (15 მკგ/მ³) და ვაკის პარკში (17 მკგ/მ³).

NO₂-ის კონცენტრაცია თბილისის აგლომერაციაში



თბილისის აგლომერაციაში განთავსებულ მონიტორინგის პუნქტებზე დაფიქსირებული ბენზოლის (C₆H₆) საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას. ასევე, 2025 წლისთვის არ დაფიქსირებულა გოგირდის დიოქსიდისა (SO₂) და ნახშირბადის მონოქსიდის (CO) ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბების არც ერთი შემთხვევა. რაც შეეხება მიწისპირა ოზონს (O₃), დაფიქსირდა ზღვრულ ნორმაზე (120 მკგ/მ³) გადაჭარბების 38 შემთხვევა მხოლოდ ილიას ბაღში მდებარე სადგურზე, რასაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სადგურის სიახლოვეს განთავსებულმა ახალმა სტაციონარულმა წყაროებმა, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ გაზომვის შედეგებზე და სწორედ ამიტომ დაგეგმილია სადგურის რელოკაცია.

მიმდინარეობს 2024-2025 წლებში აღებული მძიმე მეტალების (Pb, Cd, As, Ni) და ბენზ(ა)პირენის (C₂₀H₁₂) სინჯების ანალიზი, რომლის შედეგები ხელმისაწვდომი გახდება 2026 წლის განმავლობაში.

| მიზანი | N | გავლენის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი 2026 წელი | მაჩვენებელი 2024 წლისთვის | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|---|-----|---|----------------------|-------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება თბილისის აგლომერაციაში | 1.1 | თბილისის აგლომერაციაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას | 1 | 0 | 0 | 1 |
| | 1.2 | თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას | 14 | 12 | 15 | 12 |
| | 1.3 | თბილისის აგლომერაციაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C ₆ H ₆ -ის და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას | 0 | 0 | 1 | 1 |

თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკებისა და აზოტის ოქსიდების (NO_x) მასის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2026 წლის ბოლომდე.


2025 წელს საბაზისო დონესთან შედარებით თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა არ შეცვლილა და იგი კვლავაც აერთიანებს ჰაერის ხარისხის ავტომატურ მონიტორინგს, ინდიკატორულ გაზომვებს, გრავიმეტრიულ მონიტორინგსა და სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციას. ასევე, არ შეინიშნება

პროგრესი თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი | მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის |
|--|--|--|--|---------------------------------|
| 1.1 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების მასა | PM10 – 4,530 ტონა PM2.5 – 650 ტონა TSP – 14,500 ტონა | PM10 – 4,000 ტონა PM2.5 – 600 ტონა TSP – 12,000 ტონა | უცნობია |
| 1.2 თბილისის აგლომერაციაში აზოტის დიოქსიდის (NO2) გაფრქვევების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის ოქსიდების (NOx) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან | 5 კგ/ერთ | 4.8 კგ/ერთ | უცნობია |
| 1.3 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა | 4 | 6 | 4 |
| 1.4 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | თბილისის აგლომერაციაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა | 300 | 1000 | 0 |


2025 წელს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 41 აქტივობიდან მიმდინარეობდა 27 აქტივობის განხორციელება. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 20% (8 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 17% (7 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 34% (14 აქტივობა). არ დაწყებულა 10 აქტივობის განხორციელება. 2 აქტივობა შეჩერებულია შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 41%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით




ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით პროგრესი შეინიშნება 1.1 და 1.2 ამოცანებში, რომელთა აქტივობებიც შესაბამისად 53% და 46%-ით არის შესრულებული. 1.3 და 1.4 ამოცანების პროგრესი 24% და 20%-ს შეადგენს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე ამოცანების ჭრილში




სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი ამოცანების კრილში,
%




განმახორციელებელი უწყებების კრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომელთაც აქტივობები შესაბამისად 43% და 75%-ით შეასრულეს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე პასუხისმგებელი უწყებების
კრილში



სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი პასუხისმგებელი უწყებების კრილში, %



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ქ. თბილისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 174 სამრეწველო ობიექტის 216 ინსპექტირება, გამოვლინდა მშენებლობისა და დემონტაჟის დროს მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 39 ფაქტი და ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 284 ფაქტი. 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა თბილისის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის განთავსებისა ან/და რეალიზაციის წესი და გაიზარდა სანქციები შესაბამისი კანონდარღვევისთვის.

ღია გრუნტიდან მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად დედაქალაქში დაირგო 451 665 ძირი მწვანე ნარგავი, მოეწყო 43.7 ათასი მ² ტროტუარი. რეგულარულად ხდებოდა ქ. თბილისის 35 ქუჩის სველი წესით დასუფთავება და 100-მდე ქუჩის მორწყვა და მორცხვა.

ავტობუსების სავალი ზოლები მოეწყო დედაქალაქის დამატებით 8 ქუჩაზე, ხოლო 41 ქუჩაზე დაინერგა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა. ქ. რუსთავი-ქ. თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხაზს დაემატა 3 მარშრუტი 45 ახალი ავტობუსით. მიმდინარეობდა ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის დეტალური დიზაინის შემუშავება, რომელიც არა მხოლოდ სატრანსპორტო ნაკადების მართვას გააუმჯობესებს, არამედ ჰაერის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით იმუშავებს. შემუშავდა ქუჩის დიზაინის სტანდარტების პრაქტიკული გზამკვლევი. ქ. თბილისში მეხუთედ აღინიშნა ევროპის მობილობის კვირეული.

კანონმდებლობით განისაზღვრა და ამოქმედდა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები მაქსიმალური დონე დეციბალებში და შემუშავდა აღნიშნულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის წესი. ავტოპარკის გაახალგაზრდავებისა და გაჯანსაღების მიზნით შემუშავდა სამართლებრივი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას საქართველოში, რაც წარმოადგენს ევრო 6 სტანდარტის შემოღების ალტერნატივას. საანგარიშო პერიოდში უფრო სუფთა და ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისების მიზნით საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდა განხორციელებული

საგადასახადო რეფორმის შედეგების ანალიზი და საქართველოში ავტომობილის ემისიის სტანდარტების აღსრულების სისტემის შეფასება. კატალიზური კონვერტორის ნარჩენების ექსპორტის აკრძალვის ვადის გახანგრძლივებისთვის საკანონმდებლო საფუძვლის მოსამზადებლად შემუშავდა ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების პროექტი.

ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდა ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსები და პერსონალის საჭიროებები. ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. აგრეთვე, სექტორში გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ასამაღლებლად შემუშავდა საინფორმაცია მასალები და ჩატარდა სემინარი სამშენებლო ოპერატორების მონაწილეობით.

აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირების მხრივ, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ძირითადად შიგაწვის ძრავის მქონე ავტომობილების ზრდის ძალიან მაღალი ტემპი. საჭიროა სუფთა ავტომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება, რათა შემცირდეს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულება. აუცილებელია გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან ერთად დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები ეროვნულ დონეზე. სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება. ჰაერის ხარისხის შეფასებისა სისტემის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არასაკმარისი კვალიფიკაცია და ფინანსური რესურსების სიმწირე. საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აქტივობები, შესაბამისად საჭიროა 2026 წელს რესურსების მობილიზება გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად და სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად.

დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.1 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება


პროგრესი - ამოცანის დონე:

იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რა შედეგი გამოიღო აღნიშნული აქტივობებმა აუცილებელია თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების მასის საანგარიშო წლის მაჩვენებლის შედარება საბაზისო მაჩვენებელთან. საანგარიშო წლის მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გეგმით 2026 წლის ბოლომდეა გათვალისწინებული.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2026 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|--|---|--|--|---------------------------|
| 1.1 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების მასა | PM10 – 4,530 ტონა PM2.5 – 650 ტონა TSP – 14,500 ტონა | PM10 – 4,000 ტონა PM2.5 – 600 ტონა TSP – 12,000 ტონა | უცნობია |

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.1 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 6 აქტივობიდან 1 განხორციელდა სრულად, 3 - მეტწილად შესრულდა, 2 კი - ნაწილობრივ. შესრულების პროგრესმა შეადგინა 53%. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 48 031 281 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 8 644 183 ლარი.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ ღია გრუნტიდან მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაირგო 451 665 ძირი მწვანე ნარგავი. ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგულარულად ხდებოდა თანამედროვე მეთოდებით ქ. თბილისის 35 ქუჩის სველი წესით დასუფთავება და 100-მდე ქუჩის მორწყვა და მორეცხვა.

აღსანიშნავია, 2025 წელს თბილისის აგლომერაციაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში თბილისის აგლომერაციაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 174 სტაციონარული სამრეწველო ობიექტის 216 ინსპექტირება, მათ შორის, 10 ობიექტის კომპლექსური შემოწმება. მუნიციპალური ინსპექციის მიერ კი დაფიქსირდა მშენებლობისა და დემონტაჟის დროს

მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 39 ფაქტი და გამოვლინდა ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 284 შემთხვევა, რაზედაც განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს სანქციების გაზრდას ქ. თბილისის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დარღვევისთვის. შესაბამისი წესი ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

რისკები:

ამოცანის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შემცირება, რაც წარმოადგენს დედაქალაქში მყარი ნაწილაკების ძირითად ანთროპოგენულ წყაროს. ამ მხრივ აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მშენებლობისა და დემონტაჟის დროს მტვრის ემისიების პრევენციის მიზნით. მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდის დასასრულს ამოქმედდა „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილება, შესაბამისად მოთხოვნები ამტვერებადი მასალის განთავსებისა და რეალიზაციის პუნქტებისთვის ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან.

აქტივობების დონეზე, ასევე, მისასალმებელია, რომ მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით დედაქალაქში ხორციელდება ქუჩების სველი წესით დასუფთავება, თუმცა საჭიროა დასუფთავების პროცესი იყოს რეგულარული, განსაკუთრებით წლის მშრალ და ცხელ პერიოდებში, მოცულ იქნას დედაქალაქის კიდევ უფრო მეტი ქუჩა და გამოყოფილ იქნას საკმარისი რაოდენობის ტექნიკა.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს გაგრძელდება 1.1 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობების განხორციელება. კერძოდ:

- გაგრძელდება თბილისის აგლომერაციაში არსებული საწარმოების ინსპექტირება;
- გაგრძელდება ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, რეალიზაციისა და ტრანსპორტირების ზედამხედველობა;
- გაგრძელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დარგვის და ტყის გაშენება-აღდგენის ღონისძიებები;

- დედაქალაქის ქუჩების სველი წესით დამუშავება განხორციელდება რეგულარულად.

დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.2 - თბილისის აგლომერაციაში აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირება

პროგრესი - ამოცანის დონე:


თბილისის ქვეყნის უმსხვილესი ურბანული ცენტრი და ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ზონაა საქართველოში. აზოტის დიოქსიდის (NO₂) დონეები, რომლის ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს, მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ეროვნულ ნორმებს (40 მკგ/მ³), ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდებულ ზღვრებს (10 მკგ/მ³).

იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რა შედეგი გამოიღო აღნიშნული აქტივობებმა აუცილებელია თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული აზოტის ოქსიდების (NO_x) მასის საანგარიშო წლის მაჩვენებლის შედარება საბაზისო მაჩვენებელთან. საანგარიშო წლის მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გეგმით 2026 წლის ბოლომდეა გათვალისწინებული.

2025 წელს 2024 წელთან შედარებით ქ. თბილისში რეგისტრირებულ ავტომობილთა რაოდენობა 18%-ით, 133 ათასი ერთეულით გაიზარდა და 882 418 ერთეული¹ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ჯამური რაოდენობა მხოლოდ 124 ათასი ერთეულით გაიზარდა, შესაბამისად თბილისში ავტომობილების ზრდის დინამიკა აღემატება ქვეყნის საერთო დინამიკას. 2025 წლის მდგომარეობით ქ. თბილისში არის რეგისტრირებული საერთო ავტოპარკის 46%. ამასთან, 2025 წელს ქვეყანაში პირველად რეგისტრირებული ავტომობილების 89%, 157 878 ერთეული სწორედ ქ. თბილისში დარეგისტრირდა. აღნიშნული ავტომობილების მხოლოდ დაახლოებით 27% იყო სუფთა (ჰიბრიდები, ელექტრო).

¹ მოცავს სასოფლისამეურნეოდ სპეც ტექნიკასაც.

საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების დინამიკა



აზოტის დიოქსიდით დაბინძურება საავტომობილო გზების მიმდებარედ და ცალკეულ სარეკრეაციო ზონებში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ქ. თბილისში, რაზეც მოწმობს ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები შედეგები. როგორც უკვე აღინიშნა, აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია 12 დაკვირვების პუნქტზე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად საჭიროა დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და დროული განხორციელება ეროვნულ დონეზე.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2026 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|---|---|--------------------------------|-------------------------------|---------------------------|
| 1.2 თბილისის აგლომერაციაში აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის ოქსიდების (NO _x) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან | 5 კგ/ერთ | 4.8 კგ/ერთ | უცნობია |


პროგრესი - აქტივობის დონე:

1.2 ამოცანის ამოცანა 1.2-ის ფარგლებში გათვალისწინებული 24 აქტივობიდან:

- 6 აქტივობა უკვე სრულად განხორციელდა (100%).
- 10 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა;
- 3 აქტივობა მეტწილად შესრულებულია;
- 5 აქტივობა ჯერ არ დაწყებულა (0%).

ჯამში, მეორე ამოცანის პროგრესი 46%-ს შეადგენს. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 15 063 656 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 4 814 801 ლარი.

ამოცანა 1.2-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების კუთხით აღსანიშნავია, რომ 2025 წელს რუსთავი-თბილისის ხაზს დაემატა 3 მარშრუტი 45 ავტობუსით ახალი ავტობუსით, რაც შეამცირებს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულებას. აგრეთვე, ავტობუსების სავალი ზოლები მოეწყო დედაქალაქის დამატებით 8 ქუჩაზე, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებრივ ტრანსპორტს უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაადგილდეს. პარალელურად, თბილისის მუნიციპალიტეტში 41 ქუჩაზე დაინერგა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა, რაც ავტომობილების ნაკადების უკეთეს რეგულირებას უწყობს ხელს.

გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების განვითარების კუთხით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მოეწყო 43 653 მ² ტროტუარი. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი ითვალისწინებს ტროტუარების რეაბილიტაციას და მათი ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესებას, რაც ქალაქში ფეხით გადაადგილებას უფრო კომფორტულს და უსაფრთხოს ხდის.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის დეტალური დიზაინის შემუშავება, რომელიც არა მხოლოდ სატრანსპორტო ნაკადების მართვას გააუმჯობესებს, არამედ ჰაერის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით იმუშავებს. ასევე, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ქუჩის დიზაინის სტანდარტების გზამკვლევი (Street Design Guidelines), რომლის მიზანია ქუჩის დიზაინის მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა ქ. თბილისში. ურბანულ გარემოში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის შემცირების მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვით თვითნებურად გადაკეთებული მაყუჩის მქონე ავტომობილის მართვისთვის პირს დაეკისრება

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კანონმდებლობით განისაზღვრა და ამოქმედდა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები მაქსიმალური დონე დეციბალებში და შემუშავდა აღნიშნულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის წესი. ასევე, საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევითი წესით განხორციელდა 9 ბენზინგასამართი სადგურიდან ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში უფრო სუფთა და ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისების მიზნით საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდა განხორციელებული საგადასახადო რეფორმის შედეგების ანალიზი და საქართველოში ავტომობილის ემისიის სტანდარტების აღსრულების სისტემის შეფასება. ავტოპარკის გაახალგაზრდადებისა და გაჯანსაღების მიზნით შემუშავდა სამართლებრივი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას საქართველოში, რაც წარმოადგენს ევრო 6 სტანდარტის შემოღების ალტერნატივას. არაუმეტეს 6 წლის ასაკის მეორადი ავტომობილების აბსოლუტური უმრავლესობა შეესაბამება ევრო 6 სტანდარტს გამოშვების წლიდან გამომდინარე.

კატალიზური კონვერტორის ნარჩენების ექსპორტის აკრძალვის ვადის გახანგრძლივებისთვის საკანონმდებლო საფუძვლის მოსამზადებლად შემუშავდა ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების პროექტი. აგრეთვე, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გზებზე შემოწმებული ხილული გამონაბოლქვის მქონე ავტომობილების ხელახალი ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების შემოღებას.

რისკები:

აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები NO_2 -ის შემცირებისკენ, ჯერ კიდევ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, განსაკუთრებით სატრანსპორტო ნაკადების ეფექტური მართვისა და დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების წახალისების მიმართულებით. ასევე საჭიროა გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაფართოვდეს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღწეული პროგრესი მნიშვნელოვანია, თუმცა ჰაერის ხარისხის მდგრადი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია დარჩენილი აქტივობების სრული იმპლემენტაცია და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება.

გამოწვევას წარმოადგენს არასაკმარისი ფინანსური რესურსი, რაც განაპირობებს დეფიციტური აქტივობების შეზღუდულ პროგრესს.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს 1.2 ამოცანის ფარგლებში გაგრძელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის გაძლიერება კვლავ პრიორიტეტული მიმართულება იქნება. კატალიზური კონვერტორის ნარჩენების ექსპორტის აკრძალვის გახანგრძლივება და გზებზე ხილული გამონაბოლქვის მქონე ავტომობილებისთვის სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების ინიცირება შეამცირებს დაბინძურებული მანქანების მოძრაობას ქალაქის ქუჩებში, რაც NO₂-ის კონცენტრაციის კლებას შეუწყობს ხელს.
- გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მიზანია ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების ხელშეწყობა;
- გაიზრდება ელექტრომობილების დამტენების რაოდენობა და ელექტრომობილების პარკინგის და დამტენებით უზრუნველყოფის მიზნით მრავალბინიან მშენებლობაზე დაწესდება სტანდარტი;
- გაგრძელდება ქ. თბილისში მიწისზედა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობის კვლევის ჩასატარებელი სამუშაოები;
- განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის წესი;

დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება

პროგრესი - ამოცანის დონე:


საანგარიშო წლის მდგომარეობით, თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემა არსებითად უცვლელია და კვლავ მოიცავს ოთხ ძირითად ინსტრუმენტს: ავტომატურ მონიტორინგს, ინდიკატორულ მონიტორინგს, გრავიმეტრულ მონიტორინგს და სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის ხარისხის შეფასების არსებული სისტემა ფუნქციონირებს და აწვდის მონაცემებს სხვადასხვა დაბინძურების პარამეტრებზე, პროგრესის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები არ დაფიქსირებულა. ამოცანის ფარგლებში განსაზღვრული 5 აქტივობის განხორციელება 2026 წლისთვის არის დაგეგმილი. შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა მომზადების სამუშაოებზე, რათა 2026 წელს ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება განხორციელდეს.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2023 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2026 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|--|--|--------------------------------|-------------------------------|---------------------------|
| 1.3 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა | 4 | 6 | 4 |

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 5 აქტივობიდან 1 განხორციელდა სრულად, 1 შესრულდა ნაწილობრივ, 1 აქტივობა გაჩერებულია შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტის შეჩერების გამო, ხოლო 2 აქტივობის შესრულება არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 24%. აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული 640 000 ლარიდან საანგარიშო წელს დაიხარჯა 76 445 ლარი.



ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ე. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. ანგარიშის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და შრომის უსაფრთხოების გარკვეული რეგულაციები ქვეყანაში არსებობს, ისინი ხშირად არ სრულდება თანმიმდევრულად ან მკაცრად.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში ევროპელმა ექსპერტებმა ჩაატარეს კვლევა და მოამზადეს ანგარიში, რომელშიც განსაზღვრულია ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები.

რისკები:

ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მისი გაუმჯობესებისთვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელება გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროცესის წინსვლა დიდწილად დამოკიდებულია დაფინანსების

უზრუნველყოფაზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს საკუთარი რესურსებით თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვას, ასევე შესაბამისი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს 1.3 ამოცანის ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით დაინერგება ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემა, რომელიც მოიცავს ჰაერის ხარისხის მოდელს თბილისის აგლომერაციისთვისაც. შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში, აგრეთვე განხორციელდება სხვა აქტივობებიც.

დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.4 - თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პროგრესი - ამოცანის დონე:


ჰაერის დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება თბილისის აგლომერაციაში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. საანგარიშო პერიოდში არ გამართულა გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ თბილისის აგლომერაციაში მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. შესაბამისად, არ დაფიქსირებულა პროგრესი ამოცანის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის კუთხით.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2023 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2024-2026 წლები | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|--|---|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------|
| 1.4 თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | თბილისის აგლომერაციაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა | 300 | 1000 | 0 |

პროგრესი - აქტივობის დონე:

ამოცანა 1.4-ის ფარგლებში დაგეგმილი 6 აქტივობიდან 1 შესრულდა მეტწილად, ხოლო 1 - ნაწილობრივ. დანარჩენი 4 აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა, მათ შორის 1 აქტივობა შეჩერებულია შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო. აქტივობების შესრულების პროგრესმა კი შეადგინა 20%. აქტივობებზე გამოყოფილი 1 738 205 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 500 ლარი.

ამოცანა 1.4-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



ამოცანის ფარგლებში 2025 წლის 16-22 სექტემბერს ქ. თბილისმა მეხუთედ მიიღო მონაწილეობა ევროპის მობილობის კვირეულში, რომელიც სხვადასხვა აქტივობის საშუალებით, მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

2025 წლის 25 ივნისს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაიმართა სემინარი სამშენებლო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების საუკეთესო პრაქტიკასა და თანამედროვე მიდგომებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სამშენებლო კომპანიების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ შრომის ინსპექციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები.

რისკები:

არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას სრულფასოვანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიების ორგანიზებისთვის, რაც ასევე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი გარემოებაა 1.4 ამოცანის აქტივობების განხორციელებისთვის. საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა ამოცანის ფარგლებში დასახული სამიზნე მაჩვენებლები გეგმის განხორციელების დასასრულს იქნას მიღწეული.

შემდეგი ნაბიჯები

2026 წელს განხორციელდება გეგმით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონის ამაღლების აქტივობათა უმრავლესობა და გავრცელდება საინფორმაციო მასალები.

გამოწვევები და რეკომენდაციები

თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში მრავალი გამოწვევა იკვეთება, რაც ამოცანების და ამოცანების ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას აფერხებს.

აზოტის დიოქსიდის (NO_2) გაფრქვევების შემცირების მხრივ, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების ზრდის ძალიან მაღალი ტემპი, რაც ამჟამად ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ 24 აქტივობიდან 6 სრულად შესრულდა და 13 მიმდინარეობს, ჯერ კიდევ 5 აქტივობა არ არის დაწყებული. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი გაძლიერდა, თუმცა ტექნიკური ინსპექტირების გვერდის ავლის შემთხვევები მაინც ფიქსირდება, რაც პრობლემას კვლავ აქტუალურს ხდის. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების შემცირების კუთხით, ეკოლოგიური ტრანსპორტის წახალისება უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ როცა მსგავსი ტრანსპორტის (ჰიბრიდი, ელექტრო) წილი ავტოპარკში მცირეა, ხოლო იმპორტში მხოლოდ ერთ მეოთხედ ნაწილს მოიცავს. საჭიროა ჰიბრიდების, ელექტრომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება, რათა შემცირდეს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულება. აუცილებელია გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან ერთად დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები ეროვნულ დონეზე, ვინაიდან აზოტის დიოქსიდით დაბინძურება საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებშიც ფიქსირდება.

სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, რომელიც დედაქალაქში მყარი ნაწილაკების ძირითად ანთროპოგენულ წყაროს წარმოადგენს, აუცილებელია უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა მოხდეს საზედამხედველო უწყების ადამიანური შესაძლებლობის გაძლიერება და მონიტორინგის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ქუჩების სველი წესით დასუფთავებას მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ქუჩის მორეცხვას/მორწყვას/დასველებას და მტვრის ნაწილაკების სრულ მოცილებას ქუჩების ზედაპირებიდან ან მათ დროებით ჩახშობას. საჭიროა სათანადო ადმინისტრაციული რესურსის გამოყოფა შესაბამისი ტექნიკის შესაძენად,

ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მისი ჯანმრთელობაზე გავლენის შეფასების მიმართულებით პროგრესი მინიმალურია. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა არსებითად უცვლელია, რაც ამოცანის მხოლოდ 24%-იან შესრულებას განაპირობებს. ამ კუთხით არასაკმარისი კვალიფიკაცია და რესურსების სიმწირე მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის, რის საპასუხოდაც საჭიროა დამატებითი კადრების მოზიდვა, არსებული კადრების გადამზადება და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში გადამწყვეტი ფაქტორია. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისში თითქმის არ ჩატარებულა საინფორმაციო ღონისძიება, რაც ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში

მოსახლეობის ჩართულობას ამცირებს. მიზანშეწონილია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სრულად განხორციელება, რაც კიდევ უფრო გაამძიერებს საზოგადოების ინფორმირებულობას და მონაწილეობის ხარისხს ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში. მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად სასურველია საჯარო შეხვედრების, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება როგორც სკოლებში, ისე საზოგადოებრივ სივრცეებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც ხელს უშლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს არის არასაკმარისი ადამიანური რესურსები სამოქმედო გეგმის სამდივნოში (ატმოსფერული ჰაერის სამმართველო) და პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან პროცესში არასაკმარისი ჩართულობა, რაც გამოიხატება ცალკეული უწყებების მხრიდან სამდივნოსთვის არასრულყოფილად და დაგვიანებით ინფორმაციის მოწოდებაში. აღნიშნული გარემოება ართულებს გეგმის განხორციელების პროცესის ზუსტ შეფასებას და ანგარიშების დროულ მომზადებას.

დასასრულს, თბილისის აგლომერაციაში ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესს მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს, თუმცა სწორი კოორდინაციის, დამატებითი რესურსებისა და დროული ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არსებული რისკების შემცირება.

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

| N | მიზანი/ამოცანა | გავლენის/ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | მაჩვენებელი 2024 წლისთვის | მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის | პროგრესი (აღწერა) |
|---|---|---|----------------------|---------------------|---------------------------|---------------------------------|---|
| 1 | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება თბილისის აგლომერაციაში | <p>თბილისის აგლომერაციაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას</p> | 1 | 0 | 0 | 1 | <p>თბილისის აგლომერაციაში საანგარიშო სრული პერიოდის განმავლობაში განთავსებული იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 5 ავტომატური სადგური, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში ზომავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებს, მათ შორის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) კონცენტრაციას. სადგურები განთავსებულია ქალაქ თბილისში შემდეგ ლოკაციებზე:</p> <p>1) აკ.წერეთლის გამზირი 105, რომლის მიხედვით PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 38 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ის - 19 მკგ/მ³.</p> <p>2) ალ. ყაზბეგის გამზირი, ვ.გომიძეშვილის სახელობის პარკი, რომლის მიხედვით PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 35 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ის - 16 მკგ/მ³.</p> <p>3) ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, რომლის მიხედვით PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 31 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ის - 15 მკგ/მ³.</p> <p>4) მარშალ გელოვანის გამზირი №34, რომლის მიხედვით PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 31 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ის - 16 მკგ/მ³;</p> <p>5) დ.აღმაშენებლის გამზ. 73ა, „ილიას ბაღი“, რომლის მიხედვით PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 41 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ის - 21 მკგ/მ³;</p> <p>თბილისის აგლომერაციაში NO2-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2025 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ³) მონიტორინგის 12 პუნქტზე, კერძოდ:</p> <p>1. რუსთაველის გამზ. N6 - 68.04 მკგ/მ³;</p> <p>2. მელიქიშვილი გამზ. N2 - 53.02 მკგ/მ³;</p> <p>3. უმანგი ჩხეიძის ქ. N9 - 43.81 მკგ/მ³;</p> |
| | | <p>თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO2-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას</p> | 14 | 12 | 15 | 12 | |

| | | | | | | | |
|-----|--|---|--|--|---------|---------|---|
| | | თბილისის აგლომერაციაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C ₆ H ₆ -ის და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას | 0 | 0 | 1 | 1 | <p>4. ცოტნე დადიანის ქ. N 275 - 52.14 მკგ/მ³;</p> <p>5. წერეთელის გამზ. N 60 - 46.23 მკგ/მ³;</p> <p>6. აბაშიძის ქ. N 27 - 50.00 მკგ/მ³;</p> <p>7. პეკინის გამზ. N 21 - 54.66 მკგ/მ³;</p> <p>8. ქეთევან წამებულის გამზ. N 80 - 61.14 მკგ/მ³;</p> <p>9. ვარკეთილი, ჯავახეთის ქ. N5 - 73.99 მკგ/მ³;</p> <p>10. ქიზიყის ქ. N 13 - 46.33 მკგ/მ³;</p> <p>11. "9 აპრილის სახელობის ბაღი" - 40.50 მკგ/მ³;</p> <p>12. ჭავჭავაძის გამზ N44 - 41.86 მკგ/მ³;</p> <p>თბილისის აგლომერაციაში განთავსებულ მონიტორინგის პუნქტებზე დაფიქსირებული C₆H₆ -ის საშუალო კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას. ასევე, 2025 წლისთვის არ დაფიქსირებულა SO₂-სა და CO-ს ზღვრულ ნორმაზე გადაჭარბების არც ერთი შემთხვევა; რაც შეეხება O₃-ს, 38 შემთხვევაში დაფიქსირდა ზღვრულ ნორმაზე (120 მკგ/მ³) გადაჭარბების შემთხვევა „ილიას ბაღში" განთავსებულ სადგურზე;</p> <p>მიმდინარეობს 2025 წელს აღებული მძიმე მეტალების და ბენზ(ა)პირენის სინჯების ანალიზი, რომლის შედეგები ხელმისაწვდომი გახდება 2026 წლის განმავლობაში.</p> |
| 1.1 | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების მასა | PM10 – 4,530 ტონა PM2.5 – 650 ტონა TSP – 14,500 ტონა | PM10 – 4,000 ტონა PM2.5 – 600 ტონა TSP – 12,000 ტონა | უცნობია | უცნობია | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების მასის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2026 წლის ბოლომდე. |
| 1.2 | თბილისის აგლომერაციაში აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების შემცირება | თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის ოქსიდების (NO _x) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან | 5 კგ/ერთ | 4.8 კგ/ერთ | უცნობია | უცნობია | თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის ოქსიდების (NO _x) გაფრქვევების წლიური რაოდენობის გამოსათვლელად საჭიროა ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2026 წლის ბოლომდე. |

| | | | | | | | |
|-----|--|---|-----|------|---|---|--|
| 1.3 | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა | 4 | 6 | 4 | 4 | ქ. თბილისში სააგარიშო წლის მდგომარეობით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს: 1. ავტომატური მონიტორინგი; 2. ინდიკატორული მონიტორინგი; 3. გრავიმეტრიული მონიტორინგი; 4. ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაცია; |
| 1.4 | თბილისის აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | თბილისის აგლომერაციაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა | 300 | 1000 | 0 | 0 | საანგარიშო პერიოდში არ გამართულა გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ თბილისის აგლომერაციაში მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვითი ზნობიერების ამაღლებაზე. |

| # | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი უწყება | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი მოკლე აღწერა | ფერი | ბიუჯეტი 2024-2026 (ლ) | ბიუჯეტის შესრულება 2025 | გამოწვევები, რისკები, რეკომენდაციები (მოკლე აღწერა) |
|-------|---|--|---|-----------------------|---------------------------------|-----------------------|--|-----------------------|-------------------------|---|
| 1.1.1 | თბილისის აგლომერაციაში არსებული საწარმოების ინსპექტირების რაოდენობის გაზრდა | თბილისის აგლომერაციაში წელიწადში ჩატარებული სულ მცირე 200 ინსპექტირება | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 72% | 2025 წელს თბილისის აგლომერაციაში განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი 174 რეგულირების ობიექტის 216 ინსპექტირება, მათ შორის, წლიური გეგმით გათვალისწინებული 10 ობიექტის კომპლექსური შემოწმება. ასევე საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევითი წესით განხორციელდა 9 ბენზინგასამართი სადგურიდან ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და დაზიანებული კვლევის პროცედურები. | | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი |
| 1.1.2 | ქ. თბილისის ქუჩების სველი წესით დასუფთავება თანამედროვე მეთოდებით | რეგულარულად მორწყული-მორეცხილი სულ მცირე 100 ქუჩა 780 ათასი მ ² ფართობით რეგულარულად მექანიკური ცოცხით (სვიპერით) დასუფთავებული სულ | შპს თბილსერვის ჯგუფი | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 62% | საანგარიშო პერიოდში რეგულარულად მექანიკური ცოცხით (სვიპერით) დასუფთავდებოდა ქ. თბილისის სულ მცირე 35 ქუჩა და რეგულარულად ირწყვებოდა და ირეცხებოდა ქ. თბილისის 100 ქუჩა. | 9,031,281 | 0 | ქუჩების მორწყვა-მორეცხვითი სამუშაოები და მექანიკური ცოცხით დასუფთავება დამოკიდებულია ამინდზე და სეზონზე. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია აერთიანებს ერთი დღის განმავლობაში განხორციელებულ სამუშაოებს. |

| | | | | | | | | | | | |
|-------|--|---|--|-----------------------|---------------------------------|-----|--|--|-----------------------|-----------------------|--|
| | | მცირე 35 ქუჩა 500 ათასი მ² ფართობით | | | | | | | | | დამატებით 7 მექანიკური ცოცხის (ე.წ. „სვიპერი“)/შეძენა განხორციელდება შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების შემთხვევაში. |
| | | შემენილი სულ მცირე 15 გზის გამწმენდი (ე.წ. სვიპერი) | | | | | | | | | |
| 1.1.3 | შმენებლობითა და დემონტაჟით გამოწვეული მტვრის ემისიების შემცირების არსებული რეგულაციების გაუმჯობესება | დამტკიცებული ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება „შმენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 10% | მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. დოკუმენტი მიმოიხილავს სამშენებლოს სექტორიდან ჰაერის დაბინძურების რეგულირების კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მოიცავს რეკომენდაციებს საქართველოში არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ანგარიშის მიხედვით ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს მშენებლობისა და დემონტაჟის პროცესში ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად გარკვეულ ვალდებულებებს, თუმცა არსებობს გამოწვევები აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში განსახორციელების პროცესში. | | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1.1.4 | შმენებლობისა და დემონტაჟის დროს მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების აღსრულების გაუმჯობესება ქ. თბილისში | ინსპექტირების წლიური გეგმა | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 5% | 2025 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალური ინსპექციის მიერ განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობა: 1) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152 ⁵ მუხლის დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავებას, გამოიწერა 38 ჯარიმა; 2) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152 ⁶ მუხლის დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის განთავსებას, ჯარიმა არ გამოიწერია; 3) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152 ⁹ მუხლის დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს სამშენებლო მოედანზე ამტვერებადი მასალის შეუფუთავად განთავსებას, გამოიწერა 1 ჯარიმა | | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | ობიექტის შემოწმება ხდება ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების, ფოტო ხაფანგიდან მიღებული ინფორმაციის ან/და ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლენილი დარღვევების შემდეგ. ინსპექტირება არის ყოველდღიური (24 საათიან რეჟიმში) და კონკრეტული გეგმა ამ მიმართულებით არ არსებობს. ხორციელდება დამრღვევთა დამოკიდებული, რომელ მათგანს განახორციელებს და რა კუთხით მოხდება შემოწმება. |

| | | | | | | | | | | | |
|---------------|---|-------------------------------|---|--------------------------|-------------------------------------|-----|---|--|-----------------------|-----------------------|---|
| 1. 1. 5 | ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების აღსრულების გაუმჯობესება ქ. თბილისში | ინსპექტირების კლიური გეგმა | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 67% | <p>2025 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალური ინსპექციის მიერ განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობა:</p> <p>1) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152⁷ მუხლის დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს ამტვერებადი მასალის გადაუხურავად ტრანსპორტირებას სატრანსპორტო საშუალებით, გამოიწერა 227 ჯარიმა.</p> <p>2) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152⁸ მუხლის დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს ბეტონშიდი მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრას, გამოიწერა 57 ჯარიმა</p> <p>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს სანქციების გაზრდას ქ. თბილისის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დარღვევისთვის. შესაბამისი წესი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილება) ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან.</p> | | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | <p>დარღვევის გამოვლენა ხდება ვიზუალური დათვალიერებით და მოწმდება ის სუბიექტი, რომელიც არღვევს კანონს, რაც ვიზუალური დაკვირვებითაც ნათელია (გადაუფარებელი აქვს ე.წ. ტენტი", ღვრის ბეტონს და ა.შ.). ინსპექტირების პროცესი არის მიმდინარე და ხორციელდება ზოგადად ავტომობილთა გადაადგილებაზე დაკვირვება. აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესი ყოველდღიურია, ინსპექტირება 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს როგორც მორიგე ჯგუფებით, ასევე ფოტოხაფანგებით და თანამშრომლები საქმიანობენ სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ დარღვევებზე, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა დარღვევებზე, შესაბამისად არ არსებობს კონკრეტული გეგმა, რომლითაც განისაზღვრება მხოლოდ აღნიშნული მიმართულებით შესამოწმებელი სუბიექტების რაოდენობა, რადგან თანამშრომელთა საქმიანობა მრავალმხრივია და ევალებათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კონტროლი.</p> |
|---------------|---|-------------------------------|---|--------------------------|-------------------------------------|-----|---|--|-----------------------|-----------------------|---|

| | | | | | | | | | | |
|---------------|--|---|--|-----------------------|---------------------------------|------|---|-----------------------|-----------------------|--|
| 1. 1. 6 | მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად ღია გრუნტი დაფარული სივრცეების რეაბილიტაცია გამწვანებით ან სხვა გზით | დარგულია 45 000 ხე და 375 000 ბუჩქი და გამწვანებული 90 ჰა ფართობის ტერიტორია | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელ და | 100% | ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების (დიდტანოვანი ხეების, დეკორატიული ბუჩქების, ბალახოვანი მცენარეების) დარგვის და ტყის გაშენება-აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში, დაირგო 451 665 ძირი მწვანე ნარგავი (351 231 ძირი ხე და 100 434 ძირი დეკორატიული ბუჩქი). ფართობების მითითება ამ ეტაპზე რთულია, ვინაიდან ობიექტები ძლიერ ფრაგმენტირებულია. | 39,000,000 | 8,644,183 | მწვანე ნარგავების რაოდენობა აგრეთვე მოიცავს „ქართუ“ ფონდის მიერ მთაწმინდის ფერდობის გაშენების პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დარგვებსაც (247 608 ხე და 43021 ბუჩქი). ფინანსური მონაცემი ეხება მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებულ ბიუჯეტს და არ მოიცავს „ქართუ“ ფონდის მიერ გაწეულ ხარჯებს. ძირითად რისკებს/გამოწვევებს წარმოადგენს არ შემდგარი ტენდერი/კონტრაქტორების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა. |
| 1. 2. 1 | ასს-ების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გვერდის ავლის მაგნე პრაქტიკის შემცირების მიზნით საგზაო მონიტორინგის ინსტრუმენტების გაუმჯობესება | ქ. თბილისში დამატებით დამონტაჟებულია 10 სახელმწიფო სანომრე პიშნის ამომცნობი ე.წ. „კვიანი კამერა“ | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112 | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელ და | 100% | აქტივობის განხორციელება 2024 წელს. | 50,000 | | |
| 1. 2. 2 | გზებზე ასს-ების გამონაბოლქვის კონტროლის ფარგლებში დახარვეზებული ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების შემოღება | საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილებების პროექტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 30% | შემუშავდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გზებზე შემოწმებული ხილული გამონაბოლქვის მქონე ავტომობილების ხელახალი ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების შემოღებას. მიმდინარეობს პროექტის განხილვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 3 | ქ. თბილისში გზებზე ასს-ების გამონაბოლქვის კონტროლის ინტენსივობის გაზრდა | ქ. თბილისში მოქმედებს ასს-ების გამონაბოლქვის გამოომი საველე საზომი მოწყობილობით აღჭურვილი დამატებით სულ მცირე 2 ეკიპაჟი | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი | 2024 წლის IV კვარტალი | განხორციელ და | 100% | აქტივობის განხორციელება 2024 წელს. | 375,000 | | |

| | | | | | | | | | | | |
|---------------|---|--|---|-----------------------|---------------------------------|------|---|--|---------|-----------------------------------|---|
| 1. 2. 4 | ქ. თბილისში ასს-ების გამონაბოლქვის გამზომი დისტანციური ხელსაწყოების დამონტაჟება გზისპირად | დამონტაჟებული სულ მცირე 3 ხელსაწყო | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | | 30,000 | 0 | აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე. |
| 1. 2. 5 | ჭკვიანი შუქნიშნების სისტემის დიზაინის გაფართოება ქ. თბილისში ჰაერის რეალური მდგომარეობის გათვალისწინების მიზნით | დაგეგმვის პროცესში არსებული ჭკვიანი შუქნიშნების სისტემაში ინტეგრირებულია მოდული ჰაერის რეალური მდგომარეობის გასათვალისწინებლად | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 15% | საანგარიშო პერიოდში გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით მიმდინარეობდა სატრანსპორტო მოძრაობის მართვის კონტროლის ცენტრის დეტალური დიზაინის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდული. 2026 წლის ბოლომდე დაგეგმილია ცენტრის აპარატურული განახლება და სასერვერე ინფრასტრუქტურის მოწყობა, მომდევნო ნაბიჯების განახორციელებლად. 2026 წლის ბოლომდე იგეგმება ტენდერების რამდენიმე ლოტად გამოცხადება ქ. თბილისის გონიერი სატრანსპორტო სისტემების და მათი შემადგენელი კომპონენტების შესასყიდად და დასაწერად. ამ მხრივ, უკვე განხორციელდა ცენტრის აღჭურვა განახლებული ვიდეო კედლით. დამატებით დაგეგმილია ახალი მცირე ზომის ვიდეო კედლის დამონტაჟება, ცენტრის ავეჯისა და აკუსტიკური სისტემების განახლება და ქალაქში არსებული შუქნიშნების ნაწილის აღჭურვა სრულად ადაპტიური სისტემით. მთლიანი პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღია 2028 წლის III-IV კვარტალი. | | 804,120 | მონაცემის დადგენა არის შეუძლებელი | |
| 1. 2. 6 | კატალიზური კონვერტორის ამოღების მავნე პრაქტიკის შემცირების გზების იდენტიფიცირება | მომზადებული ანგარიში კატალიზური კონვერტორის ამოღების მავნე პრაქტიკის შემცირების გზების შესახებ | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 30% | შემუშავდა ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისთვის უფლებამოსილების მინიჭებას სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ვადის გახანგრძლივების კუთხით. აღნიშნული ცვლილება გამოყენებული იქნება კატალიზური კონვერტორის ნარჩენების ექსპორტის აკრძალვის ვადის გახანგრძლივებლად. | | 60,000 | 0 | |
| 1. 2. 7 | უფრო სუფთა და ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისების მიზნით 2017 წელს განხორციელებული საგადასახადო რეფორმის შედეგების ანალიზი | მომზადებული და გამოქვეყნებული შესაბამისი ანგარიში | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | ევროკავშირის პროექტის - „ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტებისა და ავტომობილების ემისიის სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის უკეთესი დაცულობისთვის“ ფარგლებში ესპანეთის ფისკალური კვლევების ინსტიტუტის ექსპერტების მიერ ჩატარდა სიტუაციის კვლევა და მომზადდა ანგარიში ავტომობილის განახლების მხარდასაჭერად - ავტომობილების იმპორტის საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებისა და დიზელისძრავიანი ავტომობილების მზარდი იმპორტის თავიდან ასაცილებლად. ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სატრანსპორტო საშუალებების დაბეგრის სისტემის ყოვლისმომცველ დიაგნოსტიკურ ანალიზს და მის შესაბამისობას გარემოსდაცვით მიზნებთან. იგი აფასებს არსებული ფისკალური ზომების ეფექტიანობას, ადარებს მათ ევროკავშირის პრაქტიკას და აყალიბებს კონცეპტუალურ რეკომენდაციებს ავტომობილში ელექტროავტომობილების, დატენვადი ჰიბრიდებისა და ჰიბრიდული ავტომობილების წილის ზრდისთვის. | | 104,536 | 104,536 | |

| | | | | | | | | | | |
|----------------|---|---|---|-----------------------|---------------------------------|------|---|-----------------------|--------------------------------|---|
| 1. 2. 8 | ქ. თბილისში ქუჩისა და საგზაო ინფრასტრუქტურის დიზაინის თანამედროვე სტანდარტების შემუშავება | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენილი დადგენილების პროექტი ქუჩისა და საგზაო ინფრასტრუქტურის დიზაინის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 80% | აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ მოამზადა ქუჩის დიზაინის გზამკვლევი (Street Design Guidelines), რომლის მიზანია ქუჩის დიზაინის მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა თბილისში. საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა ქუჩის დიზაინის სტანდარტების გზამკვლევზე. ივნისში გაიმართა ანგარიშის პრეზენტაცია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და რაიონის გამგეობების წარმომადგენლების მონაწილეობით. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 9 | ქ. თბილისის მეზობელ ქალაქებთან (მცხეთა, რუსთავი, გარდაბანი) დამაკავშირებელი რეგიონული სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევა | გამოქვეყნებული რეგიონული სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიში | სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო | 2025 წლის II კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობა არ განხორციელებულა, ვინაიდან დაფინანსება ვერ იქნა მოძიებული. | 400,000 | 0 | აქტივობა განხორციელდება შესაბამისი დაფინანსების ან მხარდაჭერის მოპოვების შემთხვევაში |
| 1. 2. 10 | ქ. თბილისის მიმდებარე დასახლებებსა და ქ. თბილისის შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობა | ქ. თბილისის მიმდებარე სულ მცირე 3 დასახლებასა და ქ. თბილისის შორის მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო მცხეთის მერია | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | 2,000,000 | 0 | აღნიშნული აქტივობის შესრულების მიზნით საჭიროა შეიქმნას რეგიონალური ფორმატის უწყება/ორგანო, რომელშიც ჩაერთვება ყველა დაინტერესებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება. |
| 1. 2. 11 | სამთავრობო დონეზე სამუშაო ჯგუფის შექმნა ტრანსპორტის საკითხებზე თბილისის ეკონომიკური აგლომერაციისთვის | ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 15% | ტრანსპორტის საკითხებზე სამთავრობო დონეზე სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნით შერჩეულია შესაბამისი სახელმწიფო უწყებები. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 12 | ავტობუსების სავალი ზოლების ქსელის გაფართოება ქ. თბილისში | მოწყობილი ავტობუსების სავალი ზოლი სულ მცირე 3 ქუჩაზე | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | საანგარიშო პერიოდში ავტობუსის ზოლი დაიხაზა დამატებით 8 ქუჩაზე (პეკინის გამზირი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, გმირთა მოედანი და გამსახურდიას ნაწილი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, სანდრო ახმეტელის ქუჩა, გიორგი სააკაძის ქუჩა და ვახუშტის ხიდი, ნავთლულის ქუჩა, ემირ ბურჯანაძის ქუჩა), რაც ჯამში შეადგენს 10 კილომეტრს. | 100,000 | მონაცემის დადგენის შეუძლებელია | |

| | | | | | | | | | | | |
|----------------|--|---|---|-----------------------|---------------------------------|------|---|-----------------------|-----------|---|---|
| 1. 2. 13 | ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის გაფართოება ქ. თბილისში | ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაში ჩართულია სულ მცირე 10 ქუჩა | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელ და | 100% | საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოეწყო ზონალურ-საათობრივი პარკირება 41 ქუჩაზე. | | | | |
| 1. 2. 14 | ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქ. თბილისში | მოწყობილი ახალი ველობილიკები 18 კმ სიგრძეზე | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | 24% | საანგარიშო პერიოდში აქტივობის ფარგლებში ღონისძიებები არ ჩატარებულა. | | | | |
| 1. 2. 15 | ველოსიპედის (მ.შ. ელექტროველოსიპედის) იმპორტის დღგ-სგან გათავისუფლების ინიცირება | საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია ცვლილებების პროექტი საგადახადო კოდექსში | ფინანსთა სამინისტრო | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულა | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა | ადმინისტრაციული ხარჯი | | | საგადასახადო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ პროექტის ინიცირებამდე აუცილებელია შესაბამისი ღონისძიების მიზანშეწონილობის თაობაზე რეგულირების გავლენის შეფასების და დეტალური ანალიზის მომზადება. |
| 1. 2. 16 | ფეხით გადაადგილების დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია ქ. თბილისში | განახლებული ტროტუარი 300,000 მ² ფართობზე | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა | 38% | საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ქუჩებზე განხორციელდა მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ასევე მოიცავდა ტროტუარების მოწყობისა და რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სამუშაოებს. კერძოდ: 1) სამგორის რაიონი - მ. გახოკიძის ქუჩის I, II და III მონაკვეთი; გიორგი აბაშვილის ქუჩა N3-ში, კორპ. N13 და კორპ. N15-ის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია; ემილ ზურჯანაძის ქუჩისა და გარდაბნის გზატკეცილის დამაკავშირებელი ველისთავის ქუჩის რეაბილიტაცია; ევგენია მაისურაძის ქუჩის რეაბილიტაცია; 2) ვაკის რაიონი - წყნეთის გზატკეცილის დასაწყისიდან (ვაკის სასაფლაოს შესასვლელიდან) წყნეთის გზატკეცილი N6-მდე გზის გ აფართოების და რეაბილიტაციის სამუშაოები; მ. შავიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; 3) მთაწმინდის რაიონი - ლაგუნა ვერეს მიმდებარე (გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე) მონაკვეთის რეაბილიტაცია; 4) ჩუღურეთის რაიონი - ნოე ჟორდანია სანაპიროსა და კ. ხეთაგუროვის ქუჩის კვეთის რეაბილიტაცია; 5) საბურთალოს რაიონი - გ. სააკაძის მოედნიდან - ვ.ბაგრატიონის ხიდანმდე მონაკვეთი. საერთო ჯამში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 43 652.65 მ2 ტროტუარს. | 7,000,000 | 4,365,265 | მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას სამსახური საპროექტო დოკუმენტაციაში ითვალისწინებს ტროტუარების რეაბილიტაციისა და რიგ შემთხვევაში პარამეტრების გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოებს. იმის გათვალისწინებით რომ ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაციის პროცესი მულტიუწყებრივია და ჩართულია სხვადასხვა საქალაქო სამსახურები და კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში პროექტის განხორციელებას სჭირდება იმაზე მეტი დრო ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა მხოლოდ ქუჩის ტროტუარებისა და სავალი ნაწილის ადდგენისთვის. | |

| | | | | | | | | | | |
|----------------|---|--|--------------------------|-----------------------|-----------------------------|-----|---|--|-----------------------|--|
| 1. 2. 17 | სატრანსპორტო საშუალებების წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები ნორმებისა და ამ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის წესის შემუშავება | საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები ნორმის განსაზღვრის შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი | შინაგან საქმეთა მინისტრო | 2024 წლის IV კვარტალი | მიმდინარე-მეტწილად შესრულდა | 80% | <p>2024 წლის 13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (153-IXს-XIმპ) და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების (154-IXს-XIმპ) საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის მარეგულირებელი ნორმების ამოქმედების თარიღმა გადაიწია 2026 წლის 1 იანვრამდე ნაცვლად 2025 წლის 1 იანვრისა. აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.17 აქტივობით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება განხორციელდა 2025 წლის IV კვარტალში.</p> <p>დასახელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე მიღებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები ნორმის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №584 დადგენილება, რომელიც ასევე 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. აღნიშნული დადგენილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიზნებისთვის, განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები მაქსიმალური დონე დეციბალებში.</p> <p>სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები ნორმებთან შესაბამისობის დადგენის წესის განსაზღვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი მომზადებულია და მიმდინარეობს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან შეთანხმების პროცესი. ამასთან, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფი ახორციელებს ხმაურის მზომი პორტატული აპარატის შესყიდვისთვის საჭირო პროცედურებს და მათი დასრულების შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მიღება.</p> | | ადმინისტრაციული ხარჯი | 1.2.17 აქტივობით გათვალისწინებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება მომზადებულია და მისი მიღება მოხდება სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის მიერ ხმაურის მზომი პორტატული აპარატის შესყიდვისთვის საჭირო პროცედურების დასრულების შემდეგ. |
|----------------|---|--|--------------------------|-----------------------|-----------------------------|-----|---|--|-----------------------|--|

| | | | | | | | | | | |
|----------------|--|--|---|-----------------------|--------------------------------|------|--|-----------------------|-----------------------|--|
| 1. 2. 18 | ქ. თბილისში მიწისზედა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობის კვლევა | გამოქვეყნებული ქ. თბილისში მიწისზედა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობის კვლევის ანგარიში | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 15% | ქ. თბილისში მიწისზედა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობის კვლევის ჩასატარებლად დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს კომუნიკაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან/კონსულტანტებთან. | 1,380,000 | 0 | |
| 1. 2. 19 | ელექტრომობილების დამტენების რაოდენობის გაზრდა ქ. თბილისში | დამატებული ელექტრომობილების დამტენების სულ მცირე 100 პუნქტი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 33% | 2025 წლის 19 თებერვალს სააგენტოს მიერ შპს "ბრზ სოლართან" და შპს "ქართლიენერჯისთან" გაფორმებული 3 ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ 66 (სამოცდაექვსი) ერთეული (თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში) ელექტროდამტენის განთავსება და ფუნქციონირების დაწყება. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები აღნიშნული ელექტროდამტენების მონტაჟის მიზნით. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 20 | შედავითანი ტარიფის დაწესების ინიცირება ელექტრომობილების დამტენისათვის მიწის ფართების გამოყოფაზე ქ. თბილისში | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენილი შესაბამისი დადგენილების პროექტი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია | 2025 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულა | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა | ადმინისტრაციული ხარჯი | | |
| 1. 2. 21 | მრავალბინიან მშენებლობაზე სტანდარტის დაწესების ინიცირება ელექტრომობილების პარკინგის და დამტენებით უზრუნველყოფის მიზნით | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენილი შესაბამისი დადგენილების პროექტი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 20% | საანგარიშო პერიოდში ელექტრომობილების პარკინგის და დამტენებით უზრუნველყოფის მიზნით მრავალბინიან მშენებლობაზე სტანდარტის დაწესების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა შესაბამისი დადგენილების პროექტზე. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 22 | ავტომობილის ემისიის ევრო 6 სტანდარტის შემოღება | დამტკიცებულია შესაბამისი ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის N238 დადგენილებაში | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 50% | ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტებისა და ტრანსპორტის ემისიის სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოში მოქალაქეთა ჯანმრთელობის უკეთ დასაცავად“ ფარგლებში შეფასდა საქართველოში ავტომობილის ემისიის სტანდარტების აღსრულების სისტემა და მომზადდა რეკომენდაციები აღნიშნული სისტემის გაუმჯობესების, მათ შორის ევრო 6 სტანდარტის შემოღების მიმართულებით. შემუშავდა ცვლილების პროექტი საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის N238 დადგენილებაში, რომელიც ითვალისწინებს 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას საქართველოში. ცვლილება წარმოადგენს ევრო 6 სტანდარტის შემოღების ალტერნატივას, ვინაიდან არაუმეტეს 6 წლის ასაკის მეორადი ავტომობილების აბსოლუტური უმრავლესობა შეესაბამება ევრო 6 სტანდარტს გამოშვების წლიდან გამომდინარე. | ადმინისტრაციული ხარჯი | ადმინისტრაციული ხარჯი | |
| 1. 2. 23 | ქ. თბილისის ტერიტორიაზე განსახორციელებელი არქიტექტურული | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენილია | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და | 2025 წლის IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | აქტივობის განხორციელება 2024 წელს. | ადმინისტრაციული ხარჯი | | |

| | პროექტების ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება | შესაბამისი დადგენილების პროექტი | ურბანული განვითარების სააგენტო | | | | | | | | |
|----------------|---|--|--|-----------------------|-------------------------------|-----|---|--|--------|--------|---|
| 1. 2. 24 | რუსთავ-თბილისის შორის ავტობუსების გადაადგილების მარშრუტების დივერსიფიცირება და ერთიანი საბილეთო სისტემის შემოღების შესაძლებლობის კვლევა | რუსთავ-თბილისის ავტობუსისთვის დამატებული ქ. თბილისში მოძრაობის სულ მცირე 1 მარშრუტი ახალი საბოლოო დანიშნულების წერტილით გამოქვეყნებულია კვლევა თბილისსა და რუსთავს შორის მოძრავი მგზავრებისთვის ერთიანი ბილეთის შემოღების პირობების შესახებ | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2025 წლის IV კვარტალი | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 80% | ქ. რუსთავიდან ქ. თბილისის მიმართულებით 2025 წელს დამტკიცდა და ექსპლუატაციაში გაეშვა 3 ახალი მარშრუტი: 1) რუსთავი - დიდუბე (#22 მარშრუტი, 15 ავტობუსი), 2) რუსთავი - უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი (#23 მარშრუტი, 15 ავტობუსი), 3) რუსთავი - რკინიგზის სადგური (#24 მარშრუტი, 15 ავტობუსი). რუსთავ-თბილისის ავტობუსები სარგებლობენ ქ. თბილისში არსებული საავტობუსო სავალი ზოლებით (ე.წ. ბასლაინებით). თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის გაბილეთიანების სიტემასთან რუსთავის მუნიციპალური ავტობუსები ინტეგრირებული არ არის. ერთიანი საბილეთო სისტემის შემოღების შესაძლებლობის კვლევა არ დაწყებულია. | | 100000 | 345000 | მარშრუტზე მოძრაობის დროს პიკის საათებში ხშირად იქმნება საცობი, იქ სადაც ავტობუსს არ უწევს ავტობუსის ზოლზე გადაადგილება. ამასთან, საჭიროა მარშრუტებზე მოძრავი ავტობუსის მძღოლების პროფესიონალიზმის ამაღლება და გამოწვევას წარმოადგენს მძღოლების სიმცირე. |
| 1. 3. 1 | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მონაცემების და ინფორმაციის სისტემის ხარისხის გაუმჯობესება | შემუშავებული შესაბამისი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები შემუშავებული შესაბამისი ტრენინგის პროგრამები ჩატარებული სულ მცირე 5 ტრენინგი | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | შეჩერებულია | 5% | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ ფარგლებში დაგეგმილი იყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მონაცემთა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ელექტრონული სისტემის დანერგვა. არსებული მდგომარეობით დონორმა შეაჩერა პროექტის განხორციელება. შესაბამისად ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებიც შეჩერდა. | | 300000 | 0 | დონორული დახმარების პროექტის შეჩერების გამო. აქტივობის განხორციელება განახლებდა საჭირო ფინანსური რესურსების მოძიების შემდგომ. |
| 1. 3. 2 | ქ. თბილისის აგლომერაციისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება | განახლებული ინვენტარიზაცია | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | | 10000 | 0 | აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე. |

| | | | | | | | | | | |
|---------------|---|--|--|-----------------------|--------------------------------|------|--|--------|-------|--|
| 1. 3. 3 | მშენებლობითა და დემონტაჟით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შეფასება | ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევა | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი | 2026 წლის IV კვარტალი | განხორციელ და | 100% | მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. დოკუმენტი მიმოიხილავს სამშენებლოს სექტორიდან ჰაერის დაბინძურების რეგულირების კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მოიცავს რეკომენდაციებს საქართველოში არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ანგარიშის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და შრომის უსაფრთხოების გარკვეული რეგულაციები ქვეყანაში არსებობს, ისინი ხშირად არ სრულდება თანმიმდევრულად ან მკაცრად. შემოწმების სიხშირე დაბალია, ჯარიმები შეიძლება არასაკმარისი იყოს და სექტორის ცნობიერების დონე არასაკმარისია. საკითხით დაინტერესებულ უწყებებს შორის პასუხისმგებლობების გადაფარვამ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა ან ხარვეზები ანგარიშვალდებულებისა და აღსრულების კუთხით. ამასთან, ჰაერის ხარისხის ამჟამინდელი მონაცემები არასაკმარისია უშუალოდ მშენებლობის სექტორიდან დაბინძურების შესაფასებლად ან დაბინძურებაში აღნიშნული სექტორის ზუსტი წილის დასადგენად. | 150000 | 45000 | |
| 1. 3. 4 | ქ. თბილისის მოსახლეობის ექსპოზიციის შეფასება მავნე ნივთიერებების (PM10, PM2.5, NO2) ჰარბი კონცენტრაციებისადმი | ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევა | სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულა | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა | 30000 | 0 | აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე. |
| 1. 3. 5 | ჰაერის ხარისხის მოდელირების დანერგვა ურბანულ დონეზე ქ. თბილისის აგლომერაციაში | შემუშავებული და გააქტიურებული ჰაერის ხარისხის მოდელი | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 15% | ევროკავშირის პროექტის "ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის" ფარგლებში 2025 წლის მარტში საქართველოში პირველი მისიის დროს პროექტის ექსპერტებმა შეაგროვეს ინფორმაცია საქართველოში ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ამჟამად არსებული მონაცემების და მოდელირების შესახებ. შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე მომზადდა ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელშიც განსაზღვრულია მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები. | 150000 | 31445 | გამოწვევას წარმოადგენს ჰაერის ხარისხის მოდელირების სფეროში კვალიფიკაციის ნაკლებობა, რისთვისაც საჭიროა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების გადამზადება. ასევე, აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დონორული დაფინანსების უზრუნველყოფასა და საერთაშორისო ექსპერტების მოძიებაზე. |

| | | | | | | | | | | |
|-------|--|---|---|-----------------------|--------------------------------|-----|---|-----------------------|---------|---|
| 1.4.1 | ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის | ჩატარებული სულ მცირე 5 ღონისძიება | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | 10000 | 0 | |
| 1.4.2 | ევროპის მობილობის ყოველწლიურ კვირულში მონაწილეობა | ანგარიში/პრესრელიზი ევროპის მობილობის ყოველწლიურ კვირულში თბილისის მონაწილეობის შესახებ | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა | 67% | ევროპის მობილობის კვირული არის კამპანია, რომელიც, სხვადასხვა აქტივობის საშუალებით, მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ღონისძიებების მიზანი საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილების წახალისებაა. 2025 წლის 16-22 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს ორგანიზებით დედაქალაქმა მეხუთედ მიიღო კვირულში მონაწილეობა. კვირულის ფარგლებში ვლადიმერ კანკავას ქუჩაზე (ლონდონის ბაღის მიმდებარედ) დროებით შეიზღუდა მრავალნი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და გზა დაეთმო ფეხით მოსარულეებს და არამრავალნი სატრანსპორტო საშუალებებს. ვაკის პარკის მედიათეკაში ფილმის ჩვენება გაიმართა, რომელიც ქალაქში გადაადგილების თემას მიეძღვნა. ჩატარდა ღონისძიება – „ღამე მეტროში“, რომლის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი მეტროსადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ჩატარდა, სადაც დამთვალეირებლებს მეტროს მუშაობის და შიდა ინფრასტრუქტურის სპეციფიკის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ. დაინტერესებული მოქალაქეები ასევე სტუმრობდნენ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მეორე ავტობაზას. კვირულში მონაწილეობა იგეგმება 2026 წელსაც. | 30000 | უცნობია | |
| 1.4.3 | მდგრადი მობილობის შესახებ კამპანიის ჩატარება ქ. თბილისში | ჩატარებული კამპანია | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი | 2026 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | ადმინისტრაციული ხარჯი | | |
| 1.4.4 | თბილისის აგლომერაციაში შიდასაქალაქო ავტობუსის მძღოლების ცნობიერების ამაღლება ეკო-მართვის წესების შესახებ | ქ. თბილისის აგლომერაციაში შიდასაქალაქო ავტობუსის ყველა მძღოლს გავლილი აქვს ეკო-მართვის ტრენინგი | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო | 2024 წლის IV კვარტალი | არ დაწყებულია | 0% | საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ქ. თბილისის შიდასაქალაქო ავტობუსის მძღოლებისთვის ეკო-მართვის ტრენინგის დაგეგმვაზე. | 1658205 | 0 | აქტივობის განხორციელება მოითხოვს დიდ ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებას. ამიტომაც მისი განხორციელება 2026 წლამდე გავრეულდება. |
| 1.4.5 | თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული მონიტორინგის გაფართოებული კამპანიის ჩატარება | ჩატარებული ერთჯერადი გაფართოებული მონიტორინგის კამპანია | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | 2026 წლის IV კვარტალი | შეწყობილია | 0% | აქტივობის განხორციელება არ დაწყებულია | 20000 | 0 | აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე. |

| | | | | | | | | | | |
|---------------|---|--|---|-----------------------|-------------------------------|-----|---|-------|-----|--|
| 1. 4. 6 | სამშენებლო სექტორის ოპერატორების განათლება და ინფორმირება ოპერირების და ტრანსპორტირების პროცესში მტვრის ემისიების პრევენციის არსებული რეგულაციების და მეთოდების შესახებ | ჩატარებული სულ მცირე 1 ტრენინგი სამშენებლო სექტორის ოპერატორებისთვის მომზადებული და გავრცელებული სულ მცირე 200 ერთეული საინფორმაციო მასალა ქალაქში არსებულ სამშენებლო მოედნებზე | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი | 2026 წლის IV კვარტალი | მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა | 50% | <p>მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა ქ. თბილისში სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და პრაქტიკის შეფასება და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. გარდა შეფასებისა ექსპერტმა მოამზადა ცნობიერების დონის ასამაღლებელი შემდეგი მასალები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოში (თბილისი) სამშენებლო და დემონტაჟის ობიექტებიდან მტვრისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისიების შემცირების საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ცნობიერების დონის ამაღლების აქტივობებს სამშენებლო კომპანიების მენეჯერების, სამშენებლო მუშახელის და ახლომდებარე თემებისა და მოსახლეობისთვის. 2. სამშენებლო ობიექტებზე მტვრისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისიების შემცირების პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა რჩევებს ტექნიკისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რათა შემცირდეს მტვრისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისიები სამშენებლო და დემონტაჟის სამუშაოების შედეგად. ის შექმნილია სექტორში მენეჯმენტისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და გთავაზობს მიზანმიმართულ სტრატეგიებს დაზიანებების კონტროლისთვის პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ამ სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების დაცვით, მენეჯერებსა და კონტრაქტორებს შეუძლიათ ეფექტურად დაიცვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, შეამცირონ გარემოზე ზემოქმედება და უზრუნველყოფნ, რომ მათი პრაქტიკა შესაბამისობაშია მოქმედ ადგილობრივ რეგულაციებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. 3. მტვრის ემისიების შერბილების ტექნიკები და შესაბამისი ინფორმაცია; 4. ჯანმრთელობის დაცვის ცნობარი სამშენებლო მტვრის ინჰალაციის შესამცირებლად <p>25 ივნისს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაიმართა სემინარი სამშენებლო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაზიანებების შემცირების საუკეთესო პრაქტიკასა და თანამედროვე მიდგომებზე. სემინარზე სამშენებლო კომპანიების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ შრომის ინსპექციის წარმომადგენლებს წარედგინათ პრეზენტაცია არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა და თანამედროვე მიდგომების შესახებ, რაც შესაძლოა მომავალში გადმოტანილ იქნას ეროვნულ კანონმდებლობაში. შეხვედრავზე გაიმართა დისკუსია მონაწილეების ჩართულობით.</p> | 20000 | 500 | |
|---------------|---|--|---|-----------------------|-------------------------------|-----|---|-------|-----|--|